მე-8 კლასის საგამოცდო პროგრამა
ფრანგულ ენაში

ფრანგულ ენაში მე-8 კლასის ბოლოს ჩასატარებელი გამოცდის შინაარსი და სირთულის დონე ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ – საგნობრივ პროგრამას უცხოურ ენებში და პროგრამის შინაარსს ფრანგულ ენაში.

საგამოცდო ტესტში წარმოდგენილი საკითხების სირთულის დონე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საშუალო-საბაზო საფეხურის sII-ის დონეს და ევროსაბჭოს მიერ დადგენილ ენის ფლობის A^2 დონეს.

ტესტი შედგება ოთხი სახის დავალებისაგან. ესენია:

1. დავალებები, რომლებიც ამოწმებს გრამატიკულ ცოდნას.
2. დავალებები, რომლებიც ამოწმებს ლექსიკურ ცოდნას.
3. დავალებები, რომლებიც ამოწმებს სამეტყველო ფუნქციებს.
4. დავალებები, რომლებიც ამოწმებს განსხვავებული ზომის, შინაარსის და ფორმატის ტექსტის (წერილი, განცხადება, ინფორმაციული სახის ტექსტი, დიალოგი, ა.შ) წაკითხვას და მასში მოცემული ზოგადი აზრის ან დეტალების გააზრებას.

გრამატიკული საკითხების და ლექსიკის შემოწმება მოხდება კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.

დავალებების ტიპი არის მრავალჯერადი არჩევანი; მოსწავლე კომპიუტერის ეკრანზე კითხულობს დავალებას და ოთხი შესაძლო პასუხიდან აღნიშნავს ერთს.

ტესტში შემავალი საკითხების სავარაუდო რაოდენობა არის 50.

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი

- Articles : définis, indéfinis, contractés, partitifs
- Nom : formation du féminin, du pluriel
- Adjectifs : formation du féminin, du pluriel
- Adjectifs : qualificatifs, démonstratifs, possessifs, interrogatifs, numéraux cardinaux, numéraux ordinaux
- Pronoms : personnels
- Pronoms toniques
- Adverbes de quantité
- Les modes et les temps du verbe : Présent, Futur proche, Passé récent, Passé composé, Futur simple, Impératif
- Verbes pronominaux
- Verbes impersonnels
- Prépositions